



იანვარი,
2025 წელი

პრიტი დაუპიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებლმან მან, და არავინ განაღოს დაჯშული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი



აწმირეს და აწეცახეს ვაჟ-ვაჟთ აწსაყრების 47-ე წელს

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, სამეცნიერო საბჭოს, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მილოცვა პატრიარქისადმი

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე!

ღღეს ქართველი ერი დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გილოცავთ აღსაყდრების 47-ე წელს.

ღვთის განსაკუთრებული წყალობაა, რომ იმ უდიდესი განსაცდლების ეამს, რაც ბოლო ათეული წლების მანძილზე დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას, თქვენ ბრძანებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ბრძენი საჭეთმყარებელი. ისტორიის იმ რთულ მონაკვეთებში, როდესაც მძიმე კრიზისები იყო, ქართველ ერს თქვენ ვგულებოდათ და ვგულებით მფარველად და საყრდენად. თქვენ იღებდით საკუთარ თავზე ყველა გამოწვევასა და შემოტევას და თქვენი ჩვეული სიმშვიდითა და მოუკლებელი ღოცით აგრძელებდით მოღვაწეობას ერისა და ეკლესიის ერთობის შესახარზუნებლად.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, სამეცნიერო საბჭო, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები უდიდესი მონინებით გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ თუ არა თქვენი თავდაუზოგავი ბრძოლა, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, არ ექნებოდა უძაღლესი სასულიერო საღვთისმეტყველო სასწავლებელი, სადაც გამთლიანებულია რწმენა და ცოდნა და რომლის კურსდამთავრებულები ერთგულად ემსახურებიან დედა ეკლესიასა და სამშობლოს.

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე! მთელი სისრულით ვაცნობიერებთ რა თქვენს უდიდეს ღვაწლს მართლმადიდებელი ეკლესიის, ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე, შეუთხოვთ ღმერთს მოგანიჭოთ მრავალკამიერი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომ თქვენი მამამთავრული ღოცვის მადლი რაც შეიძლება დიდხანს შევწოდდეს და მფარველობდეს ღვთივეურთხეულ ქართველ ერს და ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს სამშობლოს.



მიიქმნა კათოლიკოს-პატრიარქის, უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის ილია II-ის დაბადებიდან 92-ე და პატრიარქად აღსაყდრების 47-ე წლისთავებს

სტუდენტური ღონისძიებები – „პატრიარქობის ჯვარი“

16 დეკემბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის ილია II-ის დაბადებიდან 92-ე და პატრიარქად აღსაყდრე-

ილია II-ის მიმართ, აღნიშნა, რომ „ურთულეს ეპოქაში მაღალმა ღმერთმა გამოარჩია იგი და მიანიჭა უმძიმესი და უაღრესად საპატიო ჯვარი ეკლესიის საჭეთმპყრობლისა, რომელიც განსაკუთრებული სულიერი მხნეობით იტვირთა და 47 წელი ერთგულად და თავდადებით მსახურებს ეკლესიასა და ქართველ

ფალიის აღიარების საკითხი პატრიარქის სიტყვებისა და ქადაგებების მიხედვით - სასულიერო აკადემიის I-ელი კურსი;

დეკანოზმა გიორგი კალანდიამ - ეროვნული კულტურა და რელიგიური ცნობიერება - სასულიერო აკადემიის I-ელი კურსი;

ირინე ჩუხტიანიშვილმა - ჯვარისმტვირთველი ქართველი ერის - დიდი მეფე სოლომონ მეორე - ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მე - 3 კურსი;

მირანდა ჭიაბერაშვილმა - დიდი მეფე დავით აღმაშენებელი - ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მე-2 კურსი;

გიორგი მჭედლიშვილმა - წმინდა ილია მართალი - ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მე - 3 კურსი;

ფოტინე გუნიამ - ადამიანის ცხოვრების მიზანი - ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, I-ელი კურსი;

გვანცა ჯავახიშვილმა - თავისუფლების, ჭეშმარიტებისა და სიხარულისთვის - ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, I-ელი კურსი;

ანა ყუფუნია - ქალის როლისათვის ოჯახსა და საზოგადოებაში - საეკლესიო არქიტექტურის (ხელოვნებათმცოდნეობის), ხატუნის, დაზგური და მონუმენტური ხატუნის რესტავრაციის ფაკულტეტი, მე-3 კურსი.

მომხსენებლებს ხელმძღვანელობდნენ ფილოლოგიის დოქტორები: ხათუნა მემანიშვილი და ხათუნა ნიშნიანიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში მოღვაწე სასულიერო პირები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

დასასრულს, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა სტუდენტებსა და მათ ხელმძღვანელებს მაღალკვალიფიციურად მომზადებული მოხსენებებისთვის. აღნიშნა, რომ ჩართულობა, თანამონაწილეობა პატრიარქისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გამოსატყულებათა დიდი პატივისცემისა და მადლიერების საქართველოს პატრიარქისა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიმართ.

20 დეკემბერს გამართულ სტუდენტურ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

შესავალ სიტყვაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ბრძანა: „უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის სურდა საქართველოში სასულიერო აკადემიის დაარსება, რათა ჩვენს ეკლესიაში ღვთისმსახურება განსწავლულ სასულიერო პირებს აღველინათ. ეს ჩანაფიქრი კი მისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის წყალობით განხორციელდა. ერის სულიერი ცხოვრება სასულიერო აკადემიიდან უნდა იწყებოდეს, ამიტომ ჩვენს სასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის წინაშე. გულითად მადლობას გიხდით ჩვენი პატრიარქისადმი გამოვლენილი ასეთი პატივისცემისა და ერთგულების გამო, ზოგადად, ამ აკადემიური გარემოს გამო, რომლის შექმნაც შეუძლებელი იქნებოდა თითოეული თქვენგანის ძალისხმევით გარეშე. უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი ილია II-ის თავდადებული შრომითა და ლოცვით შემოპრუნდა რწმენისაკენ ათეისტური ეპოქის იდეოლოგიის შედეგად ეკლესიისაგან განდგომილი ქართველი ხალხი. ეს ბრძოლა ადვილი არ ყოფილა, ეს იყო ტანჯვისა და მოწამეობის გზა, რომელიც პატრიარქმა უფლის შემწეობით პირნათლად განვლო. იგი ხანდაზმულია, მაგრამ



ბიდან 47-ე წლისადმი მიძღვნილი სტუდენტური ღონისძიება - „პატრიარქობის ჯვარი“. ღონისძიებაში მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტი. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები, კათოლიკოს-პატრიარქის ეპისტოლეებზე, სიტყვებსა და ქადაგებებზე დაყრდნობით, წარმოაჩენდა ჩვენი ეკლესიის

ერს... თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ, როგორც პატრიარქის მიერ დაარსებულმა უმაღლესმა საღვთისმეტყველო სკოლამ, განსაკუთრებული ღირსებით, მონივნებითა და მადლიერებით უნდა აღნიშნოს დაბადებისა და აღსაყდრების დღე იმ პიროვნებისა, რომლის ღვაწლი განუხაზვრელად



საჭეთმპყრობლის ეპოქალურ ღვაწლს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მთელი ქართველი ერის წინაშე - სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების თვალსაზრისით.

სამეცნიერო ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. მან განსაკუთრებული მონივნება და მადლიერება გამოხატა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

დიდია სასწავლებლისა და, ზოგადად, ქვეყნის სულიერების, საეკლესიო განათლებისა და მეცნიერების აღორძინების თვალსაზრისით“.

სამეცნიერო ღონისძიებაზე მოხსენებებით წარდგინდა და პატრიარქის მოღვაწეობის მრავალმხრივ ასპექტებზე ისაუბრეს სტუდენტებმა:

ბაჩანა აბურჯანიამ - უმძიმესი და საპატიო მოვალეობა - სასულიერო სემინარიის მე-3 კურსი;

ლუკა სიმონიშვილმა - პატრიარქობის ჯვარი - სასულიერო სემინარიის მე-4 კურსი;

ლუკა მღებრიშვილმა, გიორგი მჭედლიშვილმა, გიორგი შავდიამ - საქართველოს ეკლესიის ავტოკე-



დიდი პანაშვილი

ყოველწლიურად ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის სააზრიანო გარეუბანში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პედაგოგთა, სტუდენტთა და თანაპროფესორთა სული მოსახსენებელი დიდი პანაშვილი შესრულდა. ღმრთისმშობლის სახელობის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რეპორტაჟი, საპატრიარქოს პარტოგრაფიული კალენდრის პროგრამისთვის გეორგი ზვიადაძე სასულიერო აკადემიაში მოღვაწე მოძღვრებულსა და სიონის სააზრიანო გარეუბანში აღსრულდა.

პანაშვილს გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. მსახურების დასასრულების შემდეგ პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ტაძარში შეკრებილები დალოცა და ქადაგებით მიმართა. მან გარდაცვლილ პედაგოგთა ღვაწლზე ისაუბრა.

„მინდა დიდი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო ჩვენი გარდაცვლილი პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, რომელთა ღვაწლიც დიდია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წარმატებაში. ღმერთმა დაამკვიდროს მათი სულები იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ასევე, მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო სტუდენტების მიმართ, რომლებიც უწყმიდესი



პატრიარქის მიერ დაარსებულ აკადემიასა და სემინარიაში იღებდნენ განათლებას და დღეს ჩვენ შორის აღარ არიან. ღმერთმა აცხონოს მათი სულები“, - აღნიშნა პროტოპრესვიტერმა გიორგი

ზვიადაძემ ქადაგებისას. აღსანიშნავია, რომ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პედაგოგთა და სტუდენტთა მოსახსენებელი დიდი პანაშვილი სიონის

საპატრიარქო ტაძარში ყოველწლიურად სრულდება.

გიორგი მაისურაძის ფოტო

აქვს უაღრესად ნათელი გონება და დიდი სიბრძნით, სულიერებითა და სიყვარულით ღირსეულად მართავს ეკლესიას“.

სამეცნიერო ღონისძიებაზე მოხსენებებით წარდგინენ და არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე პატრიარქის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე წარმოაჩინეს სემინარიის I კურსის სტუდენტებმა:

- გიორგი კაპანაძემ - პატრიარქის აღსაყდრება;
- გიორგი არათანაშვილმა - პირველი მამამთავრული ნაბიჯები;
- ბუხუტი კაციანიშვილმა - მეცნიერება და განათლება;
- ალექსანდრე ღირსიაშვილმა - პატრიარქი და გალობა;
- გიორგი ნიქარიშვილმა - სამების საკათედრო ტაძარი;
- მონაზონმა გაბრიელმა (კობაძე) - ახალი ეპარქია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში მოღვაწე სასულიერო პირები, პედაგოგები და სტუდენტები. საზოგადოების წინაშე სიტყვით წარდგა სასულიერო აკადემიის გამომცემლობის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მელიქიშვილი, რომელმაც განსაკუთრებული მონივნება და მადლიერება გამოხატა უწყმიდესისა და უნეტარესისადმი.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ საგანგებო მადლობა გადაუხადა პროფესორ სერგო ვარდოსანიძესა და სტუდენტებს განუხილველი შრომისათვის, რითაც კიდევ ერთხელ წარმოჩინდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ღვაწლი და ჩვენი სასწავლებლის მადლიერება მის მიმართ. რექტორმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ბატონი სერგო ვარდოსანიძის დიდი პიროვნული როლი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წინსვლის საქმეში. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის თანამშრომლებსა და დამსწრე საზოგადოებას.

ღონისძიებაზე რამდენიმე საგალობელი შეასრულა თბილისის სასულიერო აკადემიის მგალობელთა გუნდმა.



სამაგისტრო ნაშრომის დაცვა



სასულიერო აკადემიის დეკანმა, დეკანოზმა იოანე კვანჭიანმა.

თენგიზ ბატონისაშვილმა კომისიასა და დამსწრე საზოგადოებას სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი დებულებები გააცნო.

ნაშრომის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაია რაფაევამ ბრძანა, რომ თენგიზ ბატონისაშვილი გამორჩეული სტუდენტი იყო სიბეჯითით, პატიოსნებითა და გონიერებით.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში გაიმართა თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის - თენგიზ ბატონისაშვილის სამაგისტრო ნაშრომის დაცვა თემაზე: „უცნობი საღვთისმეტყველო წყარო სამწმიდაობითი ლოცვისა და მისი მონოფიზიტური გაუკუღმართების შესახებ“.

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გელათის აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი მაია რაფაევა, რეცენზენტი - თეოლოგიის დოქტორი ირაკლი ორჟონია.

სწლომას თავმჯდომარეობდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დეკანოზები იოანე კვანჭიანი, ბესარიონ ცინცაძე, გიორგი გუგუშვილი, ბიძინა გუნიია, ლონგინოზ სუარიშვილი, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, პროფესორები გვანცა კობლაძაძე და ნინო მელიქიშვილი.

შეკრებილთ მაგისტრანტი წარუდგინა

„არსენ ივალთოელის „დოგმატიკონი“ უმნიშვნელოვანესი ძეგლია ქართული კულტურის ისტორიაში, რომელმაც არეოპაგეტულ კორპუსსა და იოანე პეტრიწის ნააზრევთან ერთად შექმნა ფონი ქართული რენესანსის ჩამოყალიბებისათვის. ბატონი თენგიზ ბატონისაშვილის კვლევა სასწავლებელს აკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომისათვის წაყენებულ ყველა პირობას. იმედი მაქვს, ეს ნაშრომი დაიკავებს სათანადო ადგილს „დოგმატიკონის“ კვლევის ისტორიაში“, - ბრძანა ქალბატონმა მაიამ.

რეცენზენტმა, თეოლოგიის დოქტორმა ირაკლი ორჟონიამ მადალი შეფასება მისცა ნაშრომს.

სამაგისტრო ნაშრომის ღირსებაზე ისაუბრეს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლევა ხაჩიძემ და გამომცემლობის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნინო მელიქიშვილმა.

რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ საგანგებოდ აღნიშნა თენგიზ ბატონისაშვილის პიროვნული ღირსებები და იმედი გამოთქვა, რომ დიპლომანტი მომავალშიც ღირსეულ სამსახურს გაუწევს ეკლესიას.

თენგიზ ბატონისაშვილის სამაგისტრო ნაშრომი კომისიამ უმაღლესი ქულით შეაფასა.



მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) დაბადების 75-ე წლისთავს

გასული წლის 28 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის თაოსნობით, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის მხარდაჭერით, საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უზუცესი მღვდელმთავრის, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტის, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის გამგის, ისტორიის დოქტორის, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) დაბადებიდან 75-ე წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

შესავალ სიტყვაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიის, თეოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ისაუბრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის უდიდეს დამსახურებაზე ქართული სახელმწიფოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის



მა, აკადემიკოსმა, როინ მეტრეველმა; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ; სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ ხონელიძემ; თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორმა სერგო ვარდოსანიძემ, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, ზურაბ ლომთათიძემ, მონაზონმა მარიამმა (ბაგრა-

ქართველი ერისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, მისი მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების დიდ ღირსებაზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უდიდესი ნდობის დასტური იყო მეუფე ანანიას დანიშვნა „რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისიის“ თავმჯდომარედ, კომისიის საქმიანობა ნათელი მოჰფინა ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არაერთ საკითხს. ამ კომისიის მუშაობის შედეგები აისახა მიტროპოლიტ ანანიას დიდტანიან გამოკვლევებში: „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. საინგილო, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, მესხეთი, თრიალეთი, შიდა ქართლი“; „მესხეთი - ქართველთა გამაჰმადიანება“; „ლაზიკის შესახებ“ და სხვ. მეუფის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ხედვას ცხადყოფს მისი ნაშრომები - „სახელმწიფო ენის განვრცობა - მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი“; „პეტრე იბერი - მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“. აღსანიშნავია მიტროპოლიტ ანანიას უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევა „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“, ასევე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ და ა.შ., - აღნიშნა გამომსვლელთა მოხსენებებში.

საიუბილეო შეკრებაზე წარმოდგენილი იყო მეუფე ანანიას მიერ უკანასკნელ

პერიოდში გამოცემული სამეცნიერო შრომები.

მეუფე ანანიამ სამადლობელ სიტყვაში უდიდესი მადლიერება გამოხატა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიმართ. „24 წლის წინათ, 1994 წელს ჩვენმა უწმიდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა დამავალა, საქართველოს ეკლესიის სიყვარული უნდა ასწავლო ჩვენს სასულიერო აკადემიაში და ასეა დღემდე, - ბრძანა მეუფე ანანიამ. ამასთანავე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს აკადემიისა და სემინარიაზე ზრუნვისა და მისი საქმიანობის დაფასებისათვის.

შემაჯამებელ სიტყვაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ კიდევ ერთხელ, განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიმართ, ვისი ლოცვა-კურთხევითაც გაიმართა აღნიშნული ღონისძიება. გულითადი მადლობა გადაუხადა მობრძანებულ სტუმრებს, კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დიდი პატივისცემა და მადლიერება მეუფე ანანიას მიმართ და, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სახელით, საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

მიტროპოლიტ ანანიას დაბადებიდან 75-ე წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები და სხვა სასულიერო პირები. საქართველოს ხელისუფლებისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების გამორჩენილი მოღვაწეები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, აკადემიკოსები, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და სხვა მონაწილე სტუმრები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური

გივი შეყილაძის ფოტოები



სიის, ქართველი ხალხისა და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, უდიდესი პატივისცემა და მადლიერება გამოხატა მეუფე ანანიას მიმართ, მის განსაკუთრებულ ერთგულებასა და დამსახურებაზე საქართველოს ეკლესიის, პატრიარქისა და სამშობლოს მიმართ.

„მეუფე ანანია მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, მხარში უდგას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და დიდი ღირსებით ეზიდება სასულიერო და საზოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთს... მისი მოღვაწეობის მასშტაბი ჭეშმარიტად იმსახურებს პატივისცემასა და საიუბილეო დღის ღირსეულად აღნიშვნას“, - ბრძანა თავის გამოსვლაში პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

მისასალმებელ სიტყვები წარმოთქვეს და მეუფე ანანიას განსაკუთრებულ ღვაწლზე ისაუბრეს - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრმა, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე); თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ-

ტიონ-მუხრანელი), პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა, დეკანოზმა გიორგი მალაზიშვილმა და ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნუგზარ ვანიშვილმა.

თითოეულმა მათგანმა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული გამოხატა მეუფე ანანიას მიმართ. ამასთანავე, განსაკუთრებული მადლიერება გამოთქვეს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიმართ მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტ ანანიას ღვაწლის დაფასებისა და მეტად მასშტაბური და წარმომადგენლობითი ხასიათის ღონისძიების ორგანიზებისთვის.

გამომსვლელთა მადლობა ისაუბრეს მიტროპოლიტ ანანიას დამსახურებაზე





სამართლებრივი

სამართლებრივი

ქართული დაჯივილისი - ქართული დაჯივილისი მოძრაობა

1985 წლის იანვარში. მირეკავს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული, ჩემი მეგობარი ანზორ წიკლაური და მეუბნება: ჩემო ომარ, უწმინდესა და უნეტარეს ილია მეორეს შერთან შესვედრა და შენი აშენებული ქორწინების სასახლის დათვალიერება სურსო. მესამეობა. თან გამიკვირდა: მართალია, წარსულთან შედარებით საგრძნობლად „დათბა“ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი თავისუფლება იგრძნობოდა, მაგრამ ეკლესიასთან უშუალო და ღია ურთიერთობას მაინც ერიდებოდნენ თანამდებობის პირები. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, დავთანხმდი და პატრიარქთან შესვედრის დროც დავთქვით.

სწრაფი ნაბიჯებით აუყუყუევი ძველი საპატრიარქოს ხის ვიწრო კიბეებს. დაეინახე, კიბის თავში მდგარი პატრიარქი მილიმოდ და ისე შემომცქეროდა, როგორც დიდი ხნის მონატრებული მამა - შვილს. ძალიან თბილად შემეგება, ჩამეხუტა და მემამორა. არადა, ეს ჩემი პირველი შესვედრა იყო უწმინდესთან. ამ უდიდესმა ადამიანურმა სიტომო ჩემი გული სამუდამოდ მოინადირა...

შესვედრა, რომელიც პატრიარქის თაოსნობით შედგა, კალისტრატე ცინცაძის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა. შესვედრას ესწრებოდა მცირერიცხოვანი წმინდა სინოდის თითქმის მთელი შემადგენლობა. უნეტარესმა თითოეულ მათგანთან წარმადგინა. როცა გაცნობის ოფიციალური ცერემონია დასრულდა, პატრიარქმა საჩუქრად გადმომცა მოსკოვში 1933 წელს გამოცემული მწვენიედიანი რუსულენოვანი ბიბლია წარწერით - „ბატონ ომარ მარგველა-შვილს, კეთილი სურვილებით, ილია II. 23.01.1985 წელი“, ხატთან და თავის სადარბაზო ბარათთან ერთად. მან გულსტკივილით ბრძანა: „მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, მთავრობის გულგრილობის გამო, ქართულენოვანი ბიბლიის გამოცემას ვერ მივაღწიეთ...“

შემდეგ ხმელი ხილითა და კონიაკით გაწყობილ მაგიდასთან მიგვიწვია. უწმინდესმა ვერცხლის ძველებური პატარა სასმისი თავისი ხელით შემივსო, მერე კი სრულიად საქართველო და ქართველი ხალხი დალოცა... შემდეგ სინოდის წევრები, ანზორი და მეც გვადღერძელა. ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, ჩვენც შევსვით პატრიარქის სადღერძელი.

- ახლა კი წავიდეთ, თქვენი აშენებული ქორწინების სასახლე დავათვალიეროთ. ძალიან აქებენ, მაგრამ მოყოლილს მაინც ნახვა სჯობს, - ბრძანა პატრიარქმა და წამოვდევით.

სასახლეში დაგვხვდნენ ჩემ მიერ საგანგებოდ გაფრთხილებული დირექტორი ელზა სვიმონიშვილი, მისი მოადგილე ომარ მხეიძე, არქიტექტორი ვიქტორ ჯორბენაძე, მხატვარი ზურაბ (პიკო) ნიჟარაძე, სკულპტორი გია ჯაფარიძე, ვაჟა ორბელიანი, დოდო ლორთქიფანიძე... დავათვალიერებინეთ გაირადლებული სასახლის დარბაზები. ოქროს ქორწილსაც დავესწარი.

პატრიარქი და მისი თანმხლები სინოდის წევრები აღფრთოვანებულნი იყვნენ. დამშვიდობებისას კი გვითხრა:

- ძალიან ნასიამოვნები ვარ. კარგი იქნება, ამ ღამეზე შანდღეში, ნათურების ნაცვლად, თაფლის სანთლები რომ ენთოს - ამ საოცარ ნაგებობას მეტ სიბოხს, მიმზიდველობასა და სურნელს შესძენდა.

ეს წინადადება ძალზე საინტერესოდ მომეჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღსრულება არ ეწერა.


გავიდა დრო და ისევ მომიხდა პატრიარქთან შესვედრა მაშინდელ მატერიალური რესურსების მინისტრთან იგორ ჩხეიძესთან ერთად (მისი პირველი მოადგილე ვიყავი). პატრიარქმა გვთხოვა, აღგვედგინა ახალი საპატრიარქოს უკან მდებარე დაზიანებული ეკლესია - წირვა-ლოცვა ვერ ჩავგვიტარებია - გვეშინია, უეცრად არ ჩამოინგრეს და უბედურება არ დატრიალდესო... ეკლესიაში აღრე რაღაც „ცეხი“ ყოფილა გახსნილი და მისი ბედი აღარავის აინტერესებდა. კათოლიკოს-პატრიარქი თავადვე წაგვიძღვა და გავვრანებული ეკლესია დავათვალიერებინა.

შევლონდით. უწმინდესს დახმარება აღეუთქვით. მან დაგვლოცა.

საქმის გადადება არ შეიძლებოდა. მინისტრმა მისი შესრულება მე მომანდო. ვინაიდან არც სათანადო პროექტი არსებობდა და არც რაიმე ნახაზი ან ესკიზი, პატრიარქს ვთხოვე, საქმეში ჩახედული პიროვნება დაგვხმარებოდა. მოგვამაგრეს რუსეთში დაბადებული და აღზრდილი მღვდელი იოაკიმე (თუ მესხიერება არ მალაატობს, გვარად ასათიანი), რომელიც მსუბუქი რუსული აქცენტით, თუმცა შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა. მას უკვე ვიცნობდი: მშენებლობის სამინისტროში ხშირად მოდიოდა ჩემთან ეკლესიის საჭიროებისთვის და მეც ვეხმარებოდი სამშენებლო მასალებით, ტექნიკითა და ტრანსპორტით. მღვდელმა იოაკიმემ მართლაც ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწვია და პატრიარქის თხოვნა ჩვენივე მატერიალური, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით წარმატებით შევასრულეთ. საქმეში მართლაც სული და გული ჩავეთ, რათა სამეფო კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ღირსეული ყოფილიყო. ის შესანიშნავი ჯვრით, ზარებით, ჭაღით შევამკეთ და, ვგონებ, მიზანს მივაღწიეთ. თითქმის 40 წელია, ეს მშვენიერი ეკლესია წარმატებით ფუნქციონირებს და ძველი თბილისის მრევლს ემსახურება.

ეს იყო ჩვენი მადლიერება ილია მეორის მიმართ, რომელიც თავისი უდიდესი ღვაწლის გამო ქართველმა ხალხმა ღამის სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხა...

გავიდა წლები. ერთხელ ცოლ-შვილით მთელი კახეთი მოვიარე: თელავი, წინანდალი, გრემი, იყალთო, ნეკრესი... ალავერდში ყოფნისას სანთლები დავანთეთ, ტაძარს გარშემო შემოვუარეთ და, წამოსვლას რომ ვაპირებდით, ჩემი ძველი ნაცნობი, უკვე ალავერდის მოძღვარი იოაკიმე მოგვიანლოვდა.



გამომეცნაურა, ძველად გაწეული არაერთი დახმარებისთვის მადლობა გადამიხადა, გულთბილად დაგვლოცა, მანქანამდე მიგვაცილა და სიყვარულით გამოგვემშვიდობა...

ბედმა უწმინდესთან კიდევ შემასვედრა. ერთხელ პარიზში იუნესკოს შტაბ-ბინაში მივლინებით გახლდით. მთხოვეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევა გვსურს, დაგვეხმარეთ, მოსაწვევს გაატანოთ, რომ გადასცეთო.

სიამოვნებით დავთანხმდი. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, მთავრობის ტელეფონით მაშინვე დაუუკავშირდი პატრიარქს.

უწმინდესი იუნესკოში მიწვევამ გაახარა, თანაც ჩემმა სიურპრიზმა აღაფრთოვანა: პარიზიდან ჩამოვიტანე ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულთა ნუსხა და ფოტომასალა.

საპატრიარქოში თან მახლდა იუნესკოს თანამშრომელი, ჩემი ძველი მეგობარი ავთანდილ ქორიძე, რომელმაც ამ ორგანიზაციაში თვრამეტი წელიწადი წარმატებით იღვაწა. მაშინ ლევილის სასაფლაო მასთან და მის შესანიშნავ მეუღლესთან - მანანასთან ერთად მოვიხანსულე, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ ქართველთა საფლავების აღწერაში. შევხვდით უკვე ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტებს. ჩემდა გასაოცრად, ისინი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების გამო. სამწუხაროდ, ეს წმინდა ქართული ხასიათისა და ბუნების გამოვლენა გახლდათ!

პატრიარქს იქვე ვუჩვენეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ნოე ჟორდანიას საფლავებზე გადაღებული სურათები. ყველაფერ ამას ცოტა ხნით თუ დამიტოვებთო, მკითხა. ცოტა ხნით კი არა, საჩუქრად მოგართმევთ-მეთქი. ძალიან გაიხარა.

ამ შესვედრას გაგრძელებაც მოჰყვა. გახსოვთ ალბათ, მთელ საქართველოში სუფევდა აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას საფლავზე ამოტვიფრული იყო მისივე ლექსი - „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“ ეს პოეტური სტრიქონები მესხიერებაში მქონდა აღბეჭდილი: მასსოვს, ჩვენს ოჯახში შეკრებილი მამას მეგობრები, როცა თავისუფალი საქართველოს სადღერძელს შესვამდნენ, მთელი პათოსით კითხულობდნენ ამ ლექსს. სხვათა შორის, ეს სტრიქონები ნოე ჟორდანიას არ ეკუთვნის: მისი ავტორი მაშინ ემიგრაციაში მყოფი პოეტი, პუბლიცისტი და მხატვარ-კარიკატურისტი სიმონ ბერეჟიანი (თაყაიშვილი, ბერგერი), რომლის საფლავი, სამწუხაროდ, დაკარგულია.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჟორდანიას საფლავის ქვაზე ეს პათეტიკური ლექსი ვერ ამოვიკითხე! აი, რას იუწყებოდნენ ქართული და ფრანგული წარწერები: „ნოე ჟორდანიას. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი



დამოუკიდებლობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“.

როცა ილია მეორეს ნოე ჟორდანიას საფლავზე გადაღებული სურათი ვაჩვენებ, გაიღიმა და თქვა: „მარტის მატერიალურ მოძღვრებაზე აღზრდილი ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიულმა ათეისტურმა სელი-სუფლებამ საქართველოს წინაშე ბევრი ცოდვა ჩაიდინა. საქართველოს ეკლესია თითქმის კანონგარეშედ გამოაცხადა - მის დისკრედიტაციას ეწეოდა. ბატონობის კირონი და ლეონიდე მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჟორდანიას ხელისუფლებასთან, რომელმაც საქართველოს ეკლესიას შენობები, მიწები ჩამოართვა და სკოლებიდან საღვთო სჯულის სწავლება ამოიღო. ჟორდანიას ხშირად ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს. ის წერდა: „ქართული პრესა ერთიანად გათასხირებულია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად, ხოლო ქართული პრესის ეს გათასხირება სწორედ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგია“. ჟორდანიას მთავრობამ, რომელსაც ახლა აიდეალებენ, მიიღო ისეთი კანონები, რომელთაც საქართველოს მართლმადიდებელი სამო-ციქულო ეკლესია ყველა დანარჩენ რელიგიურ კონფესიასთან გაათანაბრეს... საეკლესიო ხატებისა და სიწმინდეების ტაძრებიდან გამოტანა და მათი გაყიდვა დაიწყო...“

ჟორდანიას მეტი წინდახედულობა და გონიერება რომ გამოეჩინა, ჩვენი ქვეყნის ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდა...“

- ნოე ჟორდანიას არ იყო, რომ თბილისი, საქართველოს დედაქალაქი ინტერნაციონალურ ცენტრად გამო-ცხადდა და მხოლოდ ტერიტორიის მესამედი - ვერა და იმის იქით, მიაკუთვნა ქართველებს, დანარჩენი ორი მესამედი კი სომხებსა და აზერბაიჯანელებს! - დაეძინე მე.

მეგონა, მაშინდელი ვიზიტით ამო-წურა ჩვენი ურთიერთობა. მაგრამ, სა-ბედნიეროდ, თურმე ვცდებოდი: ჩემი მშენებლობის მინისტრის პირველ მო-დგილედ ყოფნისას კიდევ ერთხელ გამიხსენა უწმინდესმა და უნეტარესმა. მიმიწვია და დაუყოვნებლივ ვეახლე.

ბატონობის ახალი ჩვეული სიტუაციით და სიყვარულით შეხვდა. იმან, რაც მან მაშინ მიტხრა, აღმაფრთოვანა.

- ლევილი ეკლესიის აშენება მინდა. პროექტის ავტორიც შერჩეული მყავს - პარიზელი ქართველი, ალიარებული არქიტექტორი ალექსი კობახიძე. მართალია, ის პარიზშია დაბადებული, გაზრდილი და ქართული არ იცის, მაგრამ მკერდში ქართველი ბატონობის გული უძგერს... რას მეტყვი, დახმარება რომ გთხოვოთ? - მკითხა და ღვთაებრივი თვალეზი მომაპყრო.

- თუ იქაური ქართველი ამ დიდებული საქმის შემწეობისთვის მზად არის, ომარ მარგველაშვილს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს, - ჩავალ პარიზშიც და ლევილიც კობახიძესთან (რომელსაც მე ახლოს ვიცნობდი) და ჩემს მეგობარ გოჩა ჩოგვაძესთან (ჩვენი ელჩი საფრანგეთში), გავარკვევ ყველაფერს და მოგახსენებთ.

ჩემი პასუხი უწმინდესსა და უნეტარესს ფრიად ეამა - თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდი, ბრძანა...

სამწუხაროდ, ამ კეთილმო-ბილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა: ლევილის მიწა მაშინ საფრანგეთის მფლობელობაში იყო და დავის საგანს წარმოადგენდა... არადა, როგორ მოუხდებოდა უღამაზეს ყვავილნარში ჩაფლულ ლევილის სასაფლაოს ქართული ეკლესია...

ახლა კი, ლევილის მიწა, ქალბატონ თეა წულუკიანის დიდი ძალისხმევით,

ჩვენს საკუთრებაშია, მაგრამ ვინ არის ამ საშვილიშვილო საქმის თავისმომხმელო?!

ამ უაღრესად რთულ ვითარებაში სწორად გაისმის ჩვენი პატრიარქის, უწმი-ნდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ბრძნული და იმედინი შეგონებანი... მართლაც ბე-დნიერია ქართველი ერი, ასეთი ღირსეული პიროვნება რომ ჰყავს სულიერ წინამძღვრად. სწორედ და მხოლოდ უწმი-ნდესი და უნეტარესია ერთ-დერთი უზენაესი გონება და სიწმინდე ტანჯული საქა-რთველისი.

საგულისხმოა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელებობის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან - გრიგოლ ხანძთელს და პატრიარქ კირონს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ჭეშმარიტ მხსნელებად ეცხადებოდნენ.

მართალია, რუსეთთან შეერთების გამო ფიზიკური გადაშენება აღარ გვე-მუქრებოდა, მაგრამ „ლუარსაბ თათქარიძეს“ დამსგავსებული ქართველის გადაგვარებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა. სწორედ ასეთ დროს მოუვლინა განგებამ მწუხარე ქვეყნის ილია ჭავჭავაძე - წმინდა ილია მართალი, სწორედ დიდმა ილიამ დაუდო სათავე ეროვნულ-გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ მოძრაობას საქართველოში. ქართველმა ერმა უპირველესად სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდეა... სწორედ ამიტომ უწოდა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს საქართველოს უგვირგვინო მეფე!

გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფარი აზის, მაგრამ მაშინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტებმა არ აბატიეს ერის სულიერი მამობა და წიწამურში აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამგვარი მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვარდნის ქართველებმა ბოლშევიკების უღმერთო შემოტევასაც გაუძლეს.

სრულიად ანალოგიურია ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა... ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოსდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს... სრულიად აშკარად ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებსა და ოჯახზე.

უნდა ვაღიაროთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და წინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ ქმნიდნენ. ამიტომ, ფიზიკური გადაშენების, მით უმეტეს, ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა ქართველებს. მაშინდელი საქართველოს ყველა



დონის პარტიული ხელმძღვანელების აბსოლუტური უმრავლესობა საქვეყნო, ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა! მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დამიღია სამშობლოს აღმშენებლობაში... არადა, აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო.

მთელი საქართველო სამშენებლო პოლიგონს მოგაგონებდათ.

უნდა გვახსოვდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა მომავალს სასი-კეთოდ არ წაადგება!

თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსაცვე საზოგადოებრივ ასპარეზს თითქოს რაღაც აკლდაო და ეს რაღაც, რო-გორც აღმოჩნდა, საქართველოს მა-რთლმადიდებელი ეკლესია იყო! იმ დროს ხალხში (მათ შორის, უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც) იყო ღმერთის რწმენა - ეკლესიებშიც დავდიოდით, სანთლებსაც ვანთებდით, ვლოცულობდით, შვილებსაც ვნათლავდით, წითელ კერცხებსაც ვავორებდით საფლავებზე, სააღდგომოდ ოჯახებში პასკებსაც ვაცხობდით, მაგრამ ეს ზედმეტი აფი-შირების გარეშე კეთდებოდა.

საკრალური მნიშვნელობისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი - ანუ დღე, როდესაც, უფლის ნებით, სა-ქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეფო ტახტზე ილია II კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო

მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა - ერა, რომელსაც ერთნაირი თავყვანისცემით ერიცა და ბერიც აშენებდა! საქართველოს მთელ მიწა-წყალს მოეფინა ახალი ეკლესია-მონასტრები!

მას შემდეგ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სიბრძნით იმართება ჩვენი 2000-წლოვანი ეკლესია და არა მარტო ის - რადგან ილია II-ის ავტორიტეტი იმდენად აღმატებული და შეუვალია, რომ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის მანძილზე იცვლებიან საერო ხელისუფლებანი... არ იცვლება და კიდევ უფრო მალღდება სახელი და ღირსება საქართველოს ეკლესიისა.

გასული საუკუნის 9 აპრილიდან (როდესაც ყურად არ ვიღებ პატრიარქის შეგონება) მოყოლებული, რა არ გადავიტანეთ, „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ სამოქალაქო ომებიდან დაწყებული, ვიდრე 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვიწვნიეთ. გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ არა ილია II, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდაპყდარი განსაცდელიდან...

საარაკოა უწმინდესის როლი აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ჟამს... როდესაც ომის გამჩაღებელი რუსთაველზე რუსეთზე გამარჯვებას ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მსცოვანი პატრიარქი ოკუპირებული



პოეზია

უპირველეს ყოვლისა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორები ლექციებისა და სემინარების ჩატარების პარალელურად მუდმივად იღვნიან თავიანთი შეგირდების ფართო ერუდიციის - ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურისადმი მათი ინტერესების - გაღრმავებისათვის.

ეს კარგად წარმოჩნდება ხოლმე იმ ღონისძიებებში, რასაც სტუდენტები ატარებენ. ამ ინიციატივას საუკეთესოდ უჭერს მხარს სასწავლებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პედაგოგი თამარ ნუცუბიძე სამაგალითოა ამ თვალსაზრისით.

სწორედ მისი ძალისხმევით და თაოსნობით გასული წლის მიწურულს გაიმართა პერფორმანსი - „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის, ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტების და სასულიერო სემინარიის სტუდენტები - ლაზარე ჯინჭარაძე, კოკა ჯვალალონი, დავით ნასყიდაშვილი, ფოტინე გუნია, გვანცა ჯვანაშვილი, ნინო ავქოფაშვილი, დავით კარელიძე.

მათ განსაკუთრებული შთაგონებით წაიკითხეს სხვადასხვა მოტივსა და თემაზე შექმნილი ქართული პოეზიის შედეგები. წარმოდგენას კიდევ უფრო სასიამოვნოსა და შთამბეჭდავს ხდიდა ჩონგურის თანხლებით შესრულებული სიმღერები, სტუდენტების მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები.

შეხვედრას ესწრებოდნენ პრორექტორი სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დეკანოზი თეიმურაზ მჭავანაძე, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი თეა ბეჟუაშვილი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ღონისძიებამ დამსწრეთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ბევრი გულწრფელი, ემოციური და საქებარი სიტყვა ითქვა სტუდენტებისა და მათი პედაგოგის, ქალბატონი თამარ ნუცუბიძის მისამართით.

გამოითქვა სურვილი, მსგავსი შინაარსის ღონისძიებები ხშირად გაიმართოს მომავალშიც და სტუდენტები გაცილებით ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ თავიანთი შემოქმედებით.



ჩვენს ენა ქართული

„კარგი იქნებოდა, როცა ვკითხულობდით ძველ ქართულ ლიტერატურას, ამოგვეწერა სიტყვები, რომლებიც დღეს დავიწყებულა, გამჭრალია და დაუბრუნოთ მშობლიურ გარემოს, მეტყველებას. ბევრი ლამაზი, ბევრის დამტყვევი სიტყვაა შემორჩენილი ცალკეულ კუთხეში... შეიძლება ისინი დავამკვიდროთ დღევანდელ სასაუბრო ენაში.“

უნწინდესი და უნეტარესი ილია II

- პანაშვილი - მკვდართათვის ლოცვა.
- პარაკლისი - ნუგეშის(ს) საცემელი, სავედრებელი.
- პარაკლიტონი - ნუგეშის საცემელი.
- პატარძალი - უმცროსი რძალი.
- პატიმარი - შეუკრავად პყრობილი.
- პატრიარქი - ბერძნულად მამამთავარი.
- პითალორა - დიდი ფილოსოფოსი.
- პირმშო - პირველი შობილი.
- პიტაკი - სავედრებელი მინაწერი.
- ჟანტი - მცირე რამ სისველე.
- ჟუჟი - წყლის მონადენი.
- ცოდვა - ავის ქმნა.
- ცრიატი - დღე ღრუბელაშლილი, ცივი.
- ცუდმაგალა - უსაქმოდ მოარული.
- ცხრომა - გავსებული მთვარის მოკლება.
- თივითიკი - სხვათა ენა, ქართულად თხისური ჰქვიან.
- თამბაქო - სხვათა ენა, ქართულად გლარჯი ჰქვიან.
- თარეში - სხვათა ენა, ქართულად მარბიელი ჰქვიან.
- თარხანი - სხვათა ენა, ქართულად თავისუფალს ჰქვიან.

- ანტიქრისტე - წინააღმდეგომი ღვთისა.
- არკადემია - სახლი საფილოსოფოსო.
- არილი - დასასვენებელი სინმინდეთანი.
- არმუნჯი - უწყლო ღვინო.
- ასტამი - ცომის მოსაფხევი.
- ბუგრი - საღვთო წერილში ბილწების მოქმედად სწერია, კარაბადინში მსხმო რამე მუნუყად.
- ვიეთნი - ყვავილისა და წითელას სენთა უხმობენ.
- გალოპილი - ხე ქერქ-შეძრცვილი.
- რაცა - ფერი თხელი.
- როგო - ხის სკა.
- როხვა - ძღომა.
- სააჯო - სავედრებელი.
- საგარეო - გასავალი კარი.
- საკართული - წვივსაკრავი.
- სალბუნი - მალამო.
- სამსჭვალი - ლურსმანი.
- სამშობლო - დედის სახლი.
- სამწყობრო - რაზმთა ად-

სულხან-საბას „სიტყვის კონიდან“

- თაღლითი - სხვათა ენა, ქართულად მორთული ჰქვიან.
- დალალი - რომელი ატარებს სავაჭროთა, სხვათა ენა, ქართულად ფერეზიკი ჰქვიან.
- თელგამი - ბალღამი.
- თეძი - მენჯი.
- ამირბარი - სპასპეტი.
- ამლაკი - ჭრელი ცხენი.
- გილი.
- სხუნვა - დაჭინჭვრა.
- ტენი - მცირე სისველე.
- რმენა - დაჯერება.
- რეხანი - სხვათა ენა, ქართულად შაშპრა ჰქვიან.
- რული - მცირე რამ ძილი.
- საზორველი - შესანირავი.
- სალათა - ფრანგულია, ქართულად ტაბუცინი ჰქვიან.
- სალაგმე - ცხენის დიდი კბილი.
- სამორინე - სახლი მენარდეთა.
- სხოლარი - სახლი ფილოსოფოსთა.
- ტარიგი - კრავი უბინო.
- ტარტარი - მრავალი ცუდი უბნობა.
- ტარხუნა - სხვათა ენა, ქართულად ტეგანი ჰქვიან.
- ტევრი - დიდი და ხშირი ტყე.
- ტლუ - სიცხიანის სადები წამალი.
- ფლატე - მინა ჩამონგრეული.
- ფოლადი - სხვათა ენა, ქართულად ბასრი ჰქვიან.
- ქარაგოზი - ხის ხავსი რამ მცირე.
- ქარაგმა - ასონაკლების ნიშანია.
- ქარადული - მანონი განურვილი.
- ქარავანი - სხვათა ენა, ქართულად მოგზაურს ნიშნავს.

გაზეთის იანვრის ნომერი მოამზადეს გივი შაყილაძემ (რედაქტორი), სალომე გომინაშვილმა (პასუხისმგებელი მდივანი). დამკაბადონებელი - შორენა ფარქოსაძე დაიბეჭდა შპს „მერიდიანის“ სტამბაში.